ვისაც ეს გოგონები ჰყავს და კარგად მოექცევა მათ, ისინი მისთვის ჯოჯოხეთისგან საფარი გახდებიან

მორწმუნეთა დედა და შუამავლის მეუღლე აიშა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს: «ჩემთან ქალი მოვიდა თავის ორ ქალიშვილთან ერთად და დახმარება მთხოვა. ჩემს სახლში მხოლოდ ერთი ფინიკი იყო, ამიტომ ის მივეცი. ქალმა ფინიკი თავის ორ შვილს გაუყო, შემდეგ კი ადგა და წავიდა, ამის შემდეგ ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შემოვიდა და მე ეს ამბავი მოვუყევი. მაშინ მან თქვა: «ვისაც ეს გოგონები ჰყავს და კარგად მოექცევა მათ, ისინი მისთვის ჯოჯოხეთისგან საფარი გახდებიან».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მორწმუნეთა დედა აიშა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ყვებოდა, რომ მასთან ქალი მივიდა თავის ორ შვილთან ერთად და საჭმელი სთხოვა. აიშას (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) არაფერი ჰქონდა, გარდა ერთი ფინიკისა, და ის მისცა. ქალმა ეს ფინიკი ორ შვილს გაუყო და თავად არაფერი არ ჭამა. შემდეგ ადგა და წავიდა. ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შემოვიდა და აიშამ ეს ამბავი უამბო. მაშინ მან თქვა: ვისაც ეს გოგონები ჰყავს და მათზე ზრუნავს, კეთილად ეპყრობა, ასწავლის, აჭმევს, ასვამს, ჩააცმევს და მათზე მოთმინებას გამოიჩენს, ისინი მისთვის ჯოჯოხეთისგან საფარი და ფარდა იქნებიან.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/3358